დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ)

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნანა ედიშერაშვილი
წევრ(ებ)ი:
მარიამ ხუციშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☒ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	404989704

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N6
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://logos.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@logos.org
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	574150101

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 1 24 0000852050 - 11/07/2024
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	06.08.2024

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	თბილისი ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N6 1 ძირითადი შენობა-ნაგებობა
საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	თბილისი ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N6 1 ძირითადი შენობა-ნაგებობა

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	თბილისი ლეო კვაჭაძის I ჩიხი, N6 1 ძირითადი შენობა-ნაგებობა

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 6 აგვისტოს. ვიზიტის დროს სკოლის ახალ ფართში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 31 ივლისის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის სახელზე გაგზავნილი წერილი N4/299, სადაც ითხოვს სწავლის დაწყების თარიღის გადავადებას 2024 წლის 30 სექტემბრამდე.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დეტალურად დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა, საკლასო ოთახების სარემონტო სამუშაოები დასრულებულია და ძირითადი პროცესები მიმდინარეობს დერეფნების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ამავე ოთახებშია დასაწყობებული სკოლის სრული ინვენტარი, ციფრული ტექნიკა და საგანმანათლებლო რესურსები. სკოლამ წარმოადგინა ახალი შენობის სრული პროექტის ელექტრონული ვერსია, რის ანალოგიურადაც ეწყობა სკოლის სრული შიდა და გარე სივრცე.

ვიზიტი ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული მრავალფეროვანი დოკუმენტაცია, განხორციელდა ინტერვიუირების პროცესი სკოლის მენეჯმენტთან და პედაგოგებთან. ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. განხორციელდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
580	570

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორი და სკოლის მენეჯმენტი აქტიურად იყენებს სასკოლო გარემოს კვლევის მეთოდებს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სკოლის მომსახურების ხარისხი. სწორედ ამის შედეგია სკოლის პროგრესი მისი დაარსების დღიდან. სკოლის ახალი ინფრასტრუქტურა სრულიად მორგებულია სასკოლო საზოგადოების საჭიროებებსა და ინტერესებზე. სწორედ, ამ საჭიროებების გათვალისწინებით დანხორციელდა სკოლის გაფართოება და ახალ მისამართზე სრულიად თანამედროვე, მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებო სივრცის მოწყობა.

სკოლა ატარებს მრავალფეროვან კვლევით აქტივობებს, რათა განავითაროს სწავლა/სწავლების ხარისხი და მოსწავლეებს შესთავაზოს მათზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მომსახურებები.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსმა გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში და გამოთქმული მიგნებები. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა მხოლოდ ერთი ხარვეზი, კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით, სკოლის საკუთრებად ფიქსირდებოდა მხოლოდ 134000 კვ. მ მიწის ნაკვეთი N1 და N2 შენობით, საჯარო რეესტრის ამონაწერში არ იყო დაზუსტებული სკოლის ძირითადი შენობის ფართი. არსებული დოკუმენტით არ ფიქსირდებოდა სკოლის საკუთრებაში ძირითადი შენობის დაზუსტებული ფართი.

ამასთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, კერძოდ, ახსნა-განმარტება, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში სკოლის შენობის ფართის დასადასტურებლად, მათ ჯერ კიდევ 2024 წლის 9 ივლისს განაცხადის დაჩაქრებული წესით მიმართეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. 2024 წლის 2 აგვისტოს დამატებით წარადგინეს ბრძანება და ფართის განაწილების დოკუმენტი. რეესტრის მხრიდან წარმოება დახარვეზდა და სკოლის მხრიდან მათ მოითხოვეს დამატებით განახლებული მშენებლობის ნებართვა და მთავარი არქიტექტორის განმარტება. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსმა, ამ დოკუმენტების მოპოვების მიზნით, მიმართა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. მოცემული საკითხი სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საქმისწარმოებაშია.

სკოლამ წარმოადგინა მოცემული საქმისწარმოების ყველა მტკიცებულება:

1. 2024 წლის 9 ივლისის განაცხადის რეგისტრაციის ბარათი NW27251184 საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებასთან დაკავშირებით;
2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება N892024011337-13 (06.08.2024) სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისისა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ;
3. სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი განაცხადი: AR11051266 - 05/08/2024;
4. მიწის ნაკვეთის 3D ნახაზი სკოლის შენობით;

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსმა მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი უზრუნველყოფს საჯარო რეესტრში უკვე აშენებული შენობის (7545,74 კვ.მ) ფართის რეგისტრაციას 2024 წლის 9 ივლისიდან 2025 წლის 9 ივლისამდე. შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირები, დაფინანსების წყაროები, ჩართული მხარეები, რისკები და შესრულების საბოლოო მტკიცებულებები.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.5.1.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

მოსწავლეთა რაოდენობა: 882	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

---

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	**შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსმა უზრუნველყოს სსმ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 134000 კვ.მ მიწ ნაკვეთზე არსებული შენობის (7545,74 კვ.მ ფართით) რეგისტრაც 2024 წლის 9 ივლისიდან 2025 წლის 9 ივლისამდე.**

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ და არსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. საქმიანობის განხორციელებისას საზოგადოება სარგებლობს წესდებით, საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ და სხვა მოქმედი კანონმდებლობით. წესდებით განსაზღვრულია საზოგადოების პარტნიორები, მათი უფლებები და ვალდებულებები, პარტნიორთა კრების, გენერალური დირექტორის, სკოლის დირექტორის ფუნქციები/ვალდებულებები, საზოგადოების რეორგანიზაციისა და საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებული რეგულაციები.
   სკოლის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სკოლის მენეჯმენტს, სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, მოსწავლეთა ცენტრს, პრეზიდენტთა საბჭოს, ფინანსურ სამსახურს, მარკეტინგის სამსახურს, დაცვის სამსახურსა და დამხმარე-ტექნიკურ პერსონალს. პარტნიორთა კრება წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს.
   მენეჯმენტი შედგება გენერალური დირექტორისგან, განვითარებისა და ხარისხის მართვის ხელმძღვანელისგან, გენერალური დირექტორის მოადგილისგან, I-VI კლასებში გენერალური დირექტორის მოადგილისგან, ფინანსური დირექტორისგან, ბიზნესის განვითარების მენეჯერისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელისგან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაცია შედგება სასწავლო პროცესის მონიტორინგის მართვისა და შეფასების მენეჯერის, VII-XII კლასებში სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის რეგულირებისა და ტექნიკური პროცესების ადმინისტრირების მენეჯერის, ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერის, I-VI კლასებში გენერალური დირექტორის მოადგილის თანაშემწის, ფსიქოლოგის, ექიმის, ექთნის, ბიბლიოთეკარის, იურისტისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მენეჯერისაგან.

მოსწავლეთა ცენტრი შედგება მოსწავლეთა ცენტრის ხელმძღვანელისა და მოსწავლეთა ცენტრის მენეჯერისაგან;

პედაგოგიური საბჭო შედგება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანამანთლებლო, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღამზრდელო მომსახურებაში ჩართული მასწავლებლებისგან, დაწყებითი კლასების კორდინატორების, დამრიგებელ-კოორდინატორების, გენარალური დირექტორის, განვითარებისა და ხარისხის მართვის ხელმძღვანელის, გენერალური დირექტორის მოადგილის, I-VI კლასებში გენერალური დირექტორის მოადგილის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის მართვისა და შეფასების მენეჯერის, VII-XII კლასებში სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის, I-VI კლასებში გენერალური დირექტორის მოადგილის თანაშემწისგან;

საგნობრივი კათედრები შედგება სკოლის მიერ განხორციელებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანამანთლებლო და დამატებითი საგანმანათლებო და სააღამზრდელო მომსახურებაში ჩართული მასწავლებლებისგან, დაწყებითი კლასების კორდინატორებისა და დამრიგებელ-კოორდინატორებისაგან;

სკოლის თვითმმართველობა - პრეზიდენტთა საბჭო შედგება VII-XII კლასებში კლასის მიერ არჩეული კლასის პრეზიდენტებისგან;

ფინანსური სამსახური შედგება ფინანსური დირექტორისა და ფინანსურის დირექტორის თანაშემწისგან;

მარკეტინგის სამსახური შედგება მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელისა და გრაფიკოს დიზაინერისგან;

დაცვის სამსახური შედგება დაცვის სამსახურის უფროსის, დაცვის თანამშრომლებისა და სართულის მორიგე კოორდინატორისგან;

დამხმარე-ტექნიკურ პერსონალს წარმოდგენენ: შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, მომარაგების მენეჯერი, ტექნიკური მენეჯერი და დასუფთავების თანამშრომლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით „შპს საერთაშორისო სკოლა ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რაც განსაზღვრავს დაწესებულების მართვის პრინციპებს, დასაქმებული პირების საქმიანობისა და მათზე ზრუნვის პოლიტიკას. დოკუმენტში მკაფიოდაა წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების, სამუშაო პოზიციებისა და სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები, ასევე იერარქიული გადანაწილება. პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი დაწესებულების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების ორგანიზების საკითხები და პროცედურები.

სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება- მოვალეობანი. სასწავლო პროცესის მონაწილეებად ითვლებიან მოსწავლე, მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, დაწყებითი საფეხურის კლასის კოორდინტორი (I-IV კლასები) და მშობელი. მკაფიოდაა გაწერილი მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, დაწყებითი საფეხურის კლასის კოორდინატორის (I-IV კლასები), დაწყებითი საფეხურის კლასის დამრიგებელ-კოორდინატორის (V-VI კლასები) უფლებები და მოვალეობები.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის მმართველობის უმაღლესი რგოლია პარტნიორთა კრება, რომელიც შედგება 8 წევრისგან. სკოლის სტრუქტურაში წარმოდგენილი იერარქიულად განსაზღვრული მრავალფეროვანი სტრუქტურული რგოლები და პოზიციები გონივრულადაა ორგანიზებული, მათი ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი, რაც არის ერთერთი პირობა იმისა, რომ სკოლის მართვის არსებული მოდელი, ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. გარდა ამისა, სკოლის მართვის პოლიტიკაში დეტალურად გაწერილია სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრები სტრუქტურული რგოლებისა და პოზიციების ჩართულობით, აღწერილია შეხვედრებისა და სხდომების როლი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში. მაგალითად:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მენეჯმენტის შეხვედრა - განიხილება სკოლის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისი საკითხები. მენეჯმენტი დაწესებულების ფინანსურ მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გარდა, გადაწყვეტილების მისაღებად ისმენს ადმინისტრაციის აზრს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას;
- I-VI კლასების კოორდინატორებთან, დამრიგებელ-კოორდინატორებთან შეხევდრა - განიხილება საკოორდინატორო კლასთან დაკავშირებული ზოგადი საჭიროებები. ვრცელდება მიმდინარე სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის ხელშემწყობი ინფორმაცია;
- სკოლაში მისაღები მოსწავლის მშობლის/კანონიერ წარმომადგენელთან შეხვედრა - იცვლება ინფორმაცია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, აღზრდის მიდგომების, სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო კულტურისა და სტუმრის ინტერესების შესახებ;
- და ა. შ.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 2024-2025 წარმოდგენილია მთავარი მიზნები/ამოცანები და შესაბამისი აქტივობები, სადაც მითითებულია პასუხისმგებელი პირები, გათვალისწინებულია სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციების ფუნქციები და მოვალეობები.

სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს, კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მოსწავლეთა ცენტრის, ხარისხის ჯგუფის, ინკლუზიური განათლების, ადამიანური რესურსების მართვის (თანამშრომელთა მიღების) ფსიქოლოგის, ინკ. განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის და ა. შ. საქმიანობის ამსახველი ოქმები, სამუშაო გეგმები, მონიტორინგის განხორციელების დოკუმენტები, გენერალური დირექტორის ბრძანებები, რაც დასტურია იმისა, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტ. სკოლის გენერალური დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N1/45 ბრძანებით);
- სკოლის სტრუქტურა - კლასტერული დიაგრამა;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი, პროექტი 2024-2025 სასწ. წ);
- პედაგოგიური საბჭოს, კათედრების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, ხარისხის ჯგუფის ოქმები;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ერთწლიანი სამქომედო გეგმა (2024-2025 პროექტი);

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსს დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, სადაც ასახულია სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შრომითი ურთიერთობის წარმოშობის, პირობების, სამსახურეობრივი მივლინების, შვებულების ხანგრძლივობისა და წესის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის/საბოლოო ანგარიშსწორების, წახალისების ფორმების და დისციპლინური პასუხისმგებლობის, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობების, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ასევე, განცხადების/საჩივრის განხილვა, ბრძანების გაცნობის წესი. სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებებშიც გაწერილია დასაქმებულის ვალდებულებები და უფლებამოსილებები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
   სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის ყოველი თანამშრომლის საქმიანობა რეგულირდება ხელშეკრულებით, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი:
   1) სკოლის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი - მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას, სკოლაში დასაქმებულ პირთა საქმიანობის ორგანიზებას და კოორდინაციას (თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს), მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რათა თითოეული თანამშრომელი იყოს პროდუქტიული და ეფექტური საქმიანობის განხორციელებისას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სკოლის მუშაობის ეფქტიანობას.
   2) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვის მიმართულებები და მართვის მექანიზმები. გაზარდოს სკოლის კონკურენტუნარიანობა, ხელი შეუწყოს სკოლაში დასაქმებული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კარიერულ ზრდას, შექმნას გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.

სკოლა სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

სკოლის მართვის პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა, კოლეგიურობა, კორექტულობა, შეფასება განვითარებისთვის და არა კონტროლისთვის, გაზიარებული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პროცესების გაუმჯობესებასა და მიზნების მიღწევაზე, მაღალი და პოზიტიური მოლოდინები სასკოლო საზოგადოებისგან, თვითრეგულაციის და თვითმართვის უნარების განვითარებაზე ორიენტაცია, პრევენციაზე დაფუძნებული დაგეგმვა და მართვა, უფლებამოსილების დელეგირება, ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის წახალისება, გუნდურობა, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და ურთიერთობის წახალისება.

სკოლის ადმინისტრაციასთან/მენეჯმენტთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლა დაარსების დღიდან მუდმივად ახორციელებდა ორგანიზაციული საჭიროებების კვლევას, ამის შესაბამისად ხდებოდა სტრატეგიული და ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება, SWOT ანალიზის საფუძველზე კეთდებოდა გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რამაც პირდაპირი ასახვა ჰპოვა სკოლის სტრუქტურასა და მართვაზეც. ამის გათვალისწინებით განხორციელდა არსებული სკოლის სტრუქტურის ფორმირება და ამის გათვალისწინებით ხდება მართვაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლისა/მასწავლებლის მაძიებლისა) ხდება გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით, თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე.

სკოლაში მასწავლებლის (გარდა მოწვეული, შემცვლელი და დამატებითი სავალდებულო საგნის მასწავლებლისა) მიღება ხდება კონკურსის გზით, საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს „მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი“. სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმი სრულად უწყობს ხელს სკოლაში კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას.

მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის პრინციპებია:

ა) ობიექტურობა - კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;

ბ) გამჭვირვალობა - გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა კანდიდატისათვის;

გ) კოლეგიურობა - კონკურსი უნდა ჩატარდეს ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა უნდა განხორციელდეს საკონკურსო კომისიის (შემდგომში კომისია) მიერ; დ) კორექტულობა - კონკურსის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს აღქმადი და კორექტული. კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახორციელებდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლას გამოცხადებული ჰქონდა https://teacherjobs.ge/ -ზე 1 ვაკანსია (ხოლო 2024 წლის ზაფხულის პერიოდში 17 ვაკანსია) მასწავლებელთა შერჩევასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციასთან/მენეჯმენთთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის ვაკანსიებთან დაკავშირებით ყოველთვის მაღალი დაინტერესებაა, შემოდის ბევრი განაცხადი, რაც საშუალებას იძლევა შეირჩეს კომპეტენტური კადრი. მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებისას აღმოჩდნენ ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც ბოლო 2-3 წელია, რაც დასაქმდნენ სკოლაში. მაგალითად გერმანული ენის, დაწყებითი კლასების. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მათი შერჩევისას სკოლის მხრიდან მაქსიმალურად იყო დაცული ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

სკოლის მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია თითოეული პოზიციის შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც გათვალისწინებულია თანამშრომელთა მიღებისას. სკოლის შინაგანაწესში მოცემულია სამუშაოზე მისაღები პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტები. დასაქმებული ვალდებულია ადმინისტრაციას წარუდგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა (ყველა დასაქმებულმა პირმა), ნასამართლეობის ცნობა და ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.

თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე შინაგანაწესის შესაბამისად მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლებისა და თანამშრომლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიხედვით სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებს აქვთ ზოგადი განათლების შესახებ კანონით განსაზღვრული კვალიფიკაცია. სკოლაში დასაქმებულია 113 მასწავლებელი (7 წამყვანი, 64 უფროსი, 5 მოწვეული, 29 დამატებითი სავალდებულო საგნის მასწავლებელი; ასევე, სკოლაში დასაქმებულია 6 მასწავლებლობის მაძიებელი და 2 მასწავლებელი იმ პირობით, რომ ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის განმავლობაში გაივლიან მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურ კურსს. მასწავლებლები შერჩეულები არიან კონკურსის საფუძველზე, ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა'' და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლის მართვის პოლიტიკა მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობითი და დემოკრატიული კულტურის ფორმირებასა და განვითარებაზე. სკოლის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულ პრინციპებს შორისაა კოლეგიურობა, შეფასება განვითარებისთვის და არა კონტროლისთვის, გაზიარებული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პროცესების გაუმჯობესებასა და მიზნების მიღწევაზე, უფლებამოსილების დელეგირება, გუნდურობა, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და ურთიერთობის წახალისება. სკოლაში არსებული კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები, გენერალური დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიები და ჯგუფები მუშაობენ კოლეგიურობის პრინციპით. მაგალითად:

- პედსაბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. პედსაბჭოს ერთერთი მიზანია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობის განვითარება;
- გენ. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად. ხარისხის ჯგუფს ხელმძღვანელობს სკოლის გენერალური დირექტორი. ხარისხის ჯგუფის ერთერთი მთავარი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება;
- სკოლაში შექმნილია 6 კათედრა, სადაც გაერთიანებულნი არიან მასწავლებლები საგნობრივი პროგრამების მიხედვით. კათედრა კოლეგიალური რგოლია და მისი ერთერთი მიზანია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. მასწავლებლები თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობენ კათედრის სხდომებზე. თითოეულ კათედრას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელის ფუნქციებს შორისაა ფუნქციების ეფექტურად გადანაწილება კათედრის წევრთა შორის, კათედრებს შორის ეფექტური თანამშრომლობის ჩამოყალიბება;
- სკოლის თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლის მიერ განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად შექმნილია სამუშაო ჯგუფები. ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ, რათა უზრუნველყონ სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და ხელი შეუწყონ მის განხორციელებას. ისგ ჯგუფის წევრები შესაძლებელი იყვნენ: სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი (შეიძლება იყოს ფსიქოლოგი, ინდივიდუალური ასისტენტი და ა.შ), საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული სხვა სპეციალისტი. ისგ ჯგუფს ხელმძღვანელობს დამრიგებელი. სკოლის ფსიქოლოგი კოორდნირებას უწევს ისგ ჯგუფის წევრების საქმიანობაზე;

- სკოლაში გენ. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მიზანია სკოლაში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა;
- მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხორციელდება სასკოლო საგანმანათლებლო პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები და აქტივობები. მასწავლებლები თანამშრომლობენ საკლუბო მუშაობის ფარგლებშიც.

ეს ყველაფერი ადასტირებს, რომ სკოლა იყენებს გუნდური მუშობის პრინციპებს, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. სკოლაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესის მე-16 მუხლით განსაზღვრულია თანამშორმელთა წახალისების ფორმები. მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: გენერალური დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრის გადაცემა, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისათვის სკოლის მიერ დასაქმებულთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას ერთობლივი წახალისების ფორმა - მაგალითად, ექსკურსიის დაფინანსება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-14 მუხლში გაწერილია, რომ დასაქმებულის მოტივაციის ხარისხს განაპირობებს სკოლაში დამკვიდრებული გარემოს თავისებურებები (ორგანიზაციული კულტურა) და სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური მართვის მექანიზმები, რომელთა მეშვეობით დასაქმებული გარანტირებულად მიიღებს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას. ესენია:

- წახალისება - წახალისების ღონისძიებები ხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ფორმებს;
- აღიარება - სკოლა თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით შესაძლებლია ჩატარდეს ერთობლივი შეხვედრა, ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში განთავსდეს ინფორმაცია და ა.შ. წარმატების აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მოტივაციისა და ერთიანობის განცდისთვის;
- ორგანიზაციული კლიმატის კვლევა - სკოლაში დამკვიდრებული კულტურის მუდმივი გაჯანსაღების მიზნით, ყველა იმ მნიშნველოვანი ფაქტორის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს დასაქმებულთა მოტივაციაზე, ქცევასა და მათი სამუშაოს შესრულების ხარისხზე, ხორციელდება ორგანიზაციული კლიმატის კვლევა. ორგანიზაციული კლიმატის კვლევის შედეგების მიხედვით ხდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მექანიზმების, სამუშაო გარემოსა და პირობების, სხვადასხვა პროცედურების გადახედვა/ცვლილება;
- სოციალური კეთილდღეობა - სკოლა დაინტერესებულია, რომ დასაქმებულ პირებს ჰქონდეთ საშუალება იზრუნონ საკუთარი ჯანმრთელობასა და სოციალურ რეალიზაციაზე, რაც საჭიროებს ადეკვატურ სადაზღვევო უზრუნველყოფას, რომელსაც სკოლა უფინანსებს თითოეულ დასაქმებულს სადაზღვევო პაკეტს, რომელიც საკმარისია პირადი თუ ოჯახური კეთილდღეობის ძირითადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლა უზრუნველყოფს ისეთ კორპორატიულ სერვისებზე ხელსმისაწვდომობას, როგორებიცაა სპორტისა და ჯანსაღის ცხოვრების წესის აბონემენტი - ფიტ.პასი, ფასდაკლებების და განვადებით შესყიდვის ექსკლუზიური სერვისი - dilz.ge, კორპორატიული სატელეფონო მომსახურების დაფინანსება.

მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლის მხრიდან მუდმივად იღებენ მხარდაჭერას სასწავლო რესურსების, ციფრული ტექნოლოგიების, სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შეთავაზებით, ასევე პროფესიული განვითარების მხარდაჭერითაც, რაც ასევე წამახალისებელია მათთის. მასწავლებლები გამოხატავდნენ დიდ მოლოდინებს ახალ სასწავლო სივრცესთან დაკავშირებით, რომელიც ინფრასტუქტურულად სრულად ითვალისწინებს თითოეული თანამშრომლის საჭიროებებსა და ინტერესებს. სკოლის ახალი ინფრასტრუქტურა წამახალისებელია მათი საქმიანობისთვისაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტ. სკოლის გენერალური დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N1/45 ბრძანებით);**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესი;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის „მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი“ (დამტ. გენერალური დირექტორის 2022 წლის 28 თებერვლის N1/13 ბრძანებით);**
- **სსსმ მოსწავლესათან მუშაობის მექანიზმები;**
- **ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი (დამტ. გენერალური დირექტორის 2021 წლის 22 მარტის N1/15 ბრძანებით);**
- **გენ დირექტორის ბრძანება N1/88 03/10/2022 - შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;**
- **კათედრის დებულება;**
- **პედსაბჭოს დებულება;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- თანამშრომელთა eSchool ბაზა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საჭიროებების კვლევა (კითხვარები);
- ღია კონკურსის ამსახველი დოკუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.

   სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის და მათი შემდგომი მოტივაციისათვის დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, გაკვეთილებზე დასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება,), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. შესრულებული სამუშაოს შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებით:

   - შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ;
   - თვითშეფასება;
   - შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება;
   - კრიტიკული შემთხვევების შეფასება;
   - გარკვეული სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ შეფასება;
   - სამუშაო პროცესზე/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.

   მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნასა და უნარებს, შეისწავლის მასწავლებლის მიერ შემუშავებულ კვირის გეგმებს, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ნიშნის ვერიფიკაციას, მათ შორის ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავლობაში, დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით ესწრება გაკვეთილებს, მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად გაკვეთილზე დასწრებისას სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით, ფასდება საგაკვეთილო პროცესი, ამოწმებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროგრამის/კურიკულუმის შემუშავების უნარს და მის პროგრამას/კურიკულუმს, საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით, აკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

სკოლას, ასევე, წარმოდგენილი აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის ერთერთი მთავარი მიზანია სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. სკოლაში გენერალური დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. ხარისხის ჯგუფი:

ა) ახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან;

ბ) ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვებას და შეფასებას;

გ) მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ადგენს გაკვეთილებზე დასწრების განრიგს;

ე) მასწავლებლებთან ერთად განიხილავს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებს/სტრატეგიებს და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს;

ვ) პროფესიული განვითარების მიზნით, რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ყველა ზემოთ დასახელებული პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი, მასწავლებლის შეფასების კითხვარი, მოსწავლის კითხვარი. მოცემული კითხვარები შექმნილია Google Forms-ის პლატფორმაზე, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც ამარტივებს გამოკითხვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურებს და საშუალებას იძლევა პასუხები ავოტმატურად დაგენერირდეს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე გამოკითხვის შედეგების ამსახველი დიაგრამები.

საინტერესო გამოცდილებაა სკოლის სარკისებრი კითხვარი. სარკისებრი კითხვარის განხორციელების სურვილს გამოხატავს მასწავლებელი და მის მიერვე შერჩეულ კლასში (რომელსაც ასწავლის) ატარებს, თავისსავე გაკვეთილზე, პროცესის ორგანიზებაში დახმარებას უწევს ადმინისტრაციის თანამშრომელი. სარკისებრი გამოკითხვის მიზანი სკოლის საჭიროებების შეფასება და მასწავლებლების მხარდამჭერი ღონისძიებების ერთობლივად შემუშავების პროცესის გამარტივებაა. ამ კითხვარით, სკოლას აქვს შესაძლებლობა დეტალურად მიიღოს ინფორმაცია მასწავლებლის, სწავლების პროცესისა და მოსწავლეებთან კომუნიკაციის შესახებ.

ასევე წარმოდგენილია გაკვეთილზე დაკვირვებისა და შეფასების კრიტერიუმები, მასწავლებელთა შეფასების ამსახველი დოკუმეტები და უკუკავშირები, რაც მასწავლებელს მისდის ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების სახით.

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მრავალფეროვანი მექანიზმები. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ სკოლის მხრიდან ობიექტურად და გამჭვირვალედ ხდება მათი საჭიროებების შეფასება, ეს მათთვის განმავითარებელია და კიდევ უფრო ჰმატებს მათ მოტივაციას, წარმართონ სწავლების პროცესი მაღალი ხარისხით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას, კვალიფიციური კადრების უზრუნველყოფას, მნიშვნელვანი როლი აქვს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.
   მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. შედეგების განხილვის შემდგომ, ხდება შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად, თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა.შ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის გენერალური დირექტორი, დირექტორის მოადგილეები და განვითარებისა და ხარისხის მართვის ხელმძღვანელი გენერალური დირექტორთან შეთანხმებით: იკვლევენ თანამშრომელთა საჭიროებებს და ახორციელებენ შესაბამის ინტერვენციას, ხელმძღვანელობენ ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების/მექანიზმების განხორციელებას, ხელს უწყობენ პედაგოგთა და პერსონალის პროფესიულ ზრდას - ორგანიზებას უკეთებენ საჭირო ტრენინგებს, შეხვედრებს და ა.შ, უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას თანამშრომლებისთვის, სხვადასხვა ტრენინგებისა თუ ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით, ორგანიზებას უკეთებენ კორპორატიული კულტურის განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა აქტივობას.
კათედრის პროტფოლიოებში წარმოდგენილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით შემუშავებული აქტივობების გეგმა, რომელიც მოიცავს ტრენინგებს, ურთიერთდასწრებას, წლის ბოლოს მასწავლებლის საქმიანობის შეფასებას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებლების სამუშაო კვირეული გეგმები, სადაც მკაფიოდაა გაწერილი პროფესიული განვითარების აქტივობები, ვადები, ჩართული პირები და რესურსები.
ადმინისტრაციის მხრიდან და ასევე კოლეგებს შორის პროფესიულ განვითარების პროცესზე დეტალურად ისაუბრეს პედაგოგებმა. გასაუბრების პროცესში სკოლაში ახლადდასაქმებულმა მასწავლებლებმა გაამახვილეს ყურადღება, თუ რამდენად დაეხმარათ ინტეგრაციაში კათედრის წევრების და ადმინისტრაციის აქტიური თანამშრომლობა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მენეჯმენტი ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია და თანამშრომლებისათვის შეთავაზებული აქტივობები.
სკოლის მართვის პოლიტიკის 43-ე მუხლით გაწერილია პერსონალის პროფესიული განვითარების პრინციპები. სკოლაში პროფესიული განვითარება მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავება-გაუმჯობესებას. ამ მიზნის მისაღწევად სკოლა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას. პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სკოლა უზრუნველყოფს მათთვის პროფესიული გადამზადების კურსების სკოლაში ჩატარებას ან სასერტიფიკაციო კურსების/სასწავლო მივლინებების/კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დაფინანსებას/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანადაფინანსებას. დასაქმებული უფლებამოსილია დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას და მოითხოვოს მისი პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ან სკოლაში დაგეგმვა და განხორციელება. სკოლა უფლებამოსილია, დასაქმებულის პროფესიული საჭიროების დადგენის შემდეგ, მოსთხოვოს მას, როგორც სკოლის მიერ ორგანიზებულ მიზნობრივ პროფესიულ აქტივობებში ჩართვა, ასევე სკოლის გარეთ შესაბამისი კურსების გავლა. სკოლის ბიუჯეტის შედგენის დროს გათვალისიწინებულია სკოლაში განსახორციელებელი პროფესიული განვითარების აქტივობების შესაბამისი ფინანსები.

სკოლის პერსონალის კარიერული წინსვლა მიზნად ისახავს პერსონალის შენარჩუნებას, მათთვის სკოლისადმი მიკუთვნებულობის ზრდას, პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავება-გაუმჯობესებას. პერსონალის სკოლაში მუშაობის ხანგრძლივობისა და მუშაობის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პერსონალი შესაძლებელია ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დანიშნულ იქნას ზემდგომ ან მისთვის სასურველ ვაკანტურ პოზიციაზე. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის მასწავლებელს, სკოლა მხარს უჭერს შეასრულოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული აქტივობები, მოიპოვოს შესაბამისი სტატუსი, გაფორმდეს სტატუსის შესაბამისი ხელშერკურულება და განახორციელოს სტატუსის შესაბამისი აქტივობები.

მასწავლებელთა და თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ტრენინგის გავლის ცნობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას ახლავს დანართი, სადაც წარმოდგენილია თანამშრომელთა ინტეგრაციის წესი.

   სკოლის პოლიტიკის მართვის დოკუმენტში 45-ე მუხლი არეგულირებს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებასთან.

   სკოლის მენეჯმენტი უზრუნველყოფს შესაბამისი პირის სკოლის ადმინისტრაციისა და შესაბამისი საგნობრივი კათედრების წევრებისათვის გაცნობას. ახალ თანამშრომელს აწვდის სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტაციას, სკოლის ადმინისტრაციის წევრის დახმარებით უზრუნველყოფს მისთვის შესაბამისი სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგიდისა და ინვენტარის გამოყოფას, საგაკვეთილო ცხრილის გაცნობასა და ელ. ფოსტის გახსნას, სკოლის ადმინისტრაციის წევრი ათვალიერებინებს ინფრასტრუქტურას, სკოლის ადმინისტრაციის წევრი კონსულტაციას უწევს მის კომპეტენციაში შემავალ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობას. ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია ხდება შემდეგი აქტივობებით: გაცნობითი შეხვედრები, თიმბილდინგის აქტივობები, ტრენინგები, ვორქშოპები, ექსკურსია, გასვლითი კორპორატიული ღონისძიება და ა.შ

სკოლა დაინტერესებულია პოპულარიზაცია გაუწიოს მასწავლებლის პროფესიას და ეხმარება ახალგაზრდა კადრს პროფესიულ წინსვლაში. მასწავლებლობის მაძიებლობის შემთხვევაში, პრაქტიკული საქმიანობის ფასილიტაციის მიზნით, სკოლა განუსაზღვრავს ტუტორს, რომელიც ეხმარება ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული გამოცდილების გაზიარებაში და მაძიებლის საჭიროებებიდან გამომდინარე, სათანადო რჩევების - კონსულტაციის მიცემაში, მასწავლებლობის მაძიებლისათვის განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებული აქტივობების შეფასება-გაანალიზებაში. მასწავლებლობის მაძიებელი ტუტორის დახმარებით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, ატარებს შესაბამისი რაოდენობის გაკვეთილებს, კლასგარეშე აქტივობებს, ზრუნავს თვითგანვითარებაზე. ხარისხის ჯგუფი პერიოდულად ხვდება მაძიებელებსა და ტუტორებს და აძლევს მათ მეთოდურ მითითებებს.

სკოლაში მიმდინარე ეტაპზე 8 მასწავლებლობის მაძიებელია, რომელთა საქმიანობას წარმართავს ტუტორი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ დასაქმებული უფლებამოსილია დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას და მოითხოვოს მისი პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ან სკოლაში დაგეგმვა და განხორციელება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთერთი ამოცანაა დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური აღმოჩენა, წარმოჩენა და რეალიზება. სკოლა წარმართავს გამოკითხვებს დასაქმებულთა აზრის პერიოდული კვლევის მიზნით, იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები, რეგულარულად ფასდება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობა და განიხილება პერსონალის განვითარებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებული ინიციატივები. ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება დიალოგითა და კომუნიკაციით დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის.

სკოლაში დამკვიდრებული კულტურის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, ყველა იმ მნიშნველოვანი ფაქტორის გათვალისწინებით, რაც გავლენას ახდენს დასაქმებულთა მოტივაციაზე, ქცევასა და მათი სამუშაოს შესრულების ხარისხზე, ხორციელდება ორგანიზაციული კლიმატის კვლევა. აღნიშნული პროცესი შესაძლოა წარიმართოს რეგულარულად ან კონკრეტული გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში. ორგანიზაციული კლიმატის კვლევის შედეგების მიხედვით ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მართვის მექანიზმების, სამუშაო გარემოსა და პირობების, სხვადასხვა პროცედურების გადახედვა.

თანამშრომელთა საჭიროებები და ინიციატივებია გათვალისწინებული სკოლის ახალი ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური გარემოს მოწყობისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტ. სკოლის გენერალური დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N1/45 ბრძანებით);**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;**
- **ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი;**
- **კათედრის დებულება;**
- **შპს საერთაშრისო აკადემია ლოგოსის კათედრების 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები და პორტფოლიოები;**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;**
- **ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი;**
- **თანამშრომელთა პირადი საქმეები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **თანამშრომელთა eSchool ბაზა;**
- **საჭიროებების კვლევა (კითხვარები- სწავლების შეფასება - მოსწავლის კითხვარი, მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი, მასწავლებელთა კვლევის კითხვარი);**
- **სარკისებრი კითხვარის განხორციელების პროცედურა;**
- **მასწავლებლების სამუშაო გეგმები;**
- **პედაგოგის შეფასება;**
- **ბრძანებები ტუტორების განსაზღვრის შესახებ;**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რაც არეგულირებს შპს საერთაშორისო სკოლა ლოგოსში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. დოკუმენტის მიზანია სკოლის მისიისა და ხედვის, სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულების, სწავლების ხარისხის მონიტორინგის და მისი მუდმივი სრულყოფის, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენებისა და მათი განვითარების ხელშეწყობის, მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების სრულყოფა.

   სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, შეფასებას განვითარებისთვის/მხარდაჭერისთვის, ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და განვითარებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შიდა მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრები იმართება ორ კვირაში ერთხელ და აღნიშნულ შეხვედრებზე განიხილება სკოლის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი საკითხები: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ადამიანური რესურსის მუშაობის შედეგები და საჭიროების განსაზღვრა, მატერიალური ტექნიკური ბაზის შეფასება სასწავლო პროცესთან მიმართებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილია მასწავლებლის სამუშაო გეგმები, სადაც ამ პროცესების ამსახველი აქტივობებია გათვალისწინებული, მითითებულია მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები.

   სკოლაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშობის ზოგადი პრინციპია დემინგის მუდმივი გაუმჯობესების ციკლი (Plan-Do-Check-Act) „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე“. სკოლაში ხორციელდება თითოეული ეტაპის შესაბამისი რეგულაციები და პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლა შემოწმების ანალიზისათვის იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს, რაც დეტალურადაა გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში.

სკოლის თანამშრომლები სკოლის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმისა და დირექტორის მიერ დაკისრებული მოვალეობების ფარგლებში, წარადგენენ შესრულების ანგარიშს წინასწარ განსაზღვრულ ვადაში ან მოთხოვნის შესაბამისად.

შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მონიტორინგის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრა. სკოლა მუდმივად აფასებს მიმდინარე პროცესებს და შესაბამისი პრობლემის იდენტიფიცირების ან ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, სკოლის მენეჯმენტი დაუყოვნებლივ რეაგირებს.

დაწესებულების შიდა შეფასების სისტემა ეფექტურად ხორციელდება, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2023-2024, რომელშიც გათვალისიწინებულია - გაკვეთილების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების მონიტორინგი, სასწავლო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებს განვითარებისა და ხარისხის მართვის ხელმძღვანელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ხარისხის განვითარების მექანიზმითა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. შემოწმების განხორციელების დროს - სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მოწმდება:

- სკოლის ფილოსოფიის შესაბამისობა;
- კურიკულუმები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი;
- აკადემიური პერსონალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში;
- მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შინაგანაწესი, სტრუქტურული ერთეულების დებულებები/სამუშაო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის სტრატეგიული გეგმები მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ორგანიზებას განაპირობებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები გაწერილია შინაგანაწესში და მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შინაგანაწესის 29-ე მუხლით წარმოდგენილია, რომ მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ სკოლის უკანონო (არსებობის შემთხვევაში) და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. სკოლაში შემოსული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა განცხადება/საჩივარი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს დადგენილი წესით.

   სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომლის მიზანია სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სისტემის ფორმირება, თანმიმდევრული და ორგანიზებული სისტემის განვითარება. წარმოდგენილია სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები, განცხადების/საჩივრის წარდგენის, ხარვეზის დადგენის, აცილების პროცედურები, განცხადების/საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და მისი ვადები, საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმა, საჩივრის განხილვაში დაინტერესებული მხარისა და გასაჩივრებული აქტის გამომცემი ორგანოს/პირის მონაწილეობა, საჩივრთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, განცხადებაზე/საჩივარზე უარის თქმა, პირადი მონაცემების დაცვა, ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, თანამშრომლთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესი უფლების დარღვევის შემთხვევაში. სკოლაში საჩივრებს განიხილავს სკოლის დამოუკიდებელი კომისია.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი რეგულირდება წინამდებარე სკოლის შინაგანაწესის, მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

   სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლასა და დასაქმებულებს შორის შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების გამო. შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავი ჩამონათვალი, წახალისებისა და დისციპლინური სახდელების გამოყენების პრინციპები, დასაქმებულისა და მოსწავლის მატერიალური პასუხსიმგებლობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი. წარმოდგენილია მოსწავლის, კლასის დამრიგებლის, მასწავლებლის, დაწყებითი საფეხურის კლასის კოორდინატორის (I-IVკლასები), დაწყებითი საფეხურის კლასის დამრიგებელ-კოორდინატორის (V-VI კლასები), მშობელს /კანონიერ წარმომადგენელის უფლებები და ვალდებულებები.

   გენერალური დირექტორი ვალდებულია დისციპლინური წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

   სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სხვადასხვა წესები/დებულებები, რომლებშიც შედგენილია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების გათვალისწინებით და სკოლაში ქმნის ორგანიზებული სასწავლო გარემოს პირობას:

   - მედიაციის მარეგულირებელი წესი, რომლის მიზანია შპს საერთაშორისო სკოლა ლოგოსში მოსწავლეთა, მშობელთა და სკოლის პერსონალს შორის არსებული კონფლიქტების ისე მოგვარება, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მონაწილე მხარეთა ინტერესებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ლაბორატორიის გამოყენების წესი, რაც არეგულირებს შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის საკუთრებაში არსებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიებით სარგებლობის წესს;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესით განსაზღვრულია მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები;
- სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მექანიზმები განისაზღვრება და რეგულირდება უსაფრთხოების პოლიტიკით, სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევის კოდექსის, მასწავლებელის პროფესიული ეთოკის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი და დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება არეგულირებს მასწავლებლის/დამრიგებლის ვალდებულებებს მშობლებთან ურთიერთობის ფარგლებში, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობებსა და ვალდებულებებს, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესს, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმებს, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შინაგანაწესი;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულება;**
- **ბრძანება შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ (N1/88 -03/10/2022 წ.);**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მედიაციის მარეგულირებელი წესი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო წელი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი_2023;
- საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი;
- მშობელთან/კან. წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობას. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ელექტრონული გამოკითხვის ფორმები, ჩატრებული გამოკითხვების შედეგები და მათი ანალიზი, მიგნებები, რაც გამოიყენება სკოლის ორგანიზაციული განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისათვის. სკოლის თანამშრომლები და მასწავლებლები იცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს, დებულებებს, მარეგულირებელ წესებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, ინფორმაციას შეფასების სისტების შესახებ, რაც დადასტურდა ინტერვიუირების პროცესში. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში მკაფიოდაა განსაზღვრული უკუკავშირის მიღების, მონაცემთა მიღების მეთოდები და ინსტრუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველგვარ საჯარო ინფორმაციას და მათ შორის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სკოლა აქვეყნებს სკოლის განცხადებების დაფაზე, ვებგვერდზე https://logos.edu.ge/, სოციალურ ქსელებში https://www.facebook.com/Logos.Edu.Ge და https://www.instagram.com/logos_international_academy/. გარდა ამისა გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების კიდევ ერთი საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://logos.schoolbook.ge/, სკოლის ელ-ფოსტა. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სკოლის სოციალური გვერდით, ვებგვერდით, ასევე პედსაბჭოზე, მშობელთა შეხვედრებზე. სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრებები, სადაც დამრიგებლები, დამრიგებელ-კოორდინატორები მშობლებსა და მოსწავლეებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, აწვდიან ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში, სამუშაო ჯგუფებში, პედსაბჭოზე და საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლის ჩართულობა, მოსწავლეთა თვითმმართველობის - სკოლის პრეზიდენტთა საბჭოში მოსწავლეთა აქტიურობა, მშობლებთან კომუნიკაცია დასტურია იმისა, რომ სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია, ჩართულია და მონაწილეობს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში. სკოლაში შექმნილი კოლეგიალური ორგანოების, სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა და ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი შესაბამის წესებსა და დებულებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეხვედრების ამსახველი დოკუმენტები, შეხვედრებისა და სხდომების ოქმები. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;**
- **პედაგოგიური საბჭოს დებულება;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **საგნობრივი კათედრების დებულება;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა ცენტრის დებულება;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;**
- **საჭიროებების კვლევა (კითხვარები- სწავლების შეფასება - მოსწავლის კითხვარი, მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი, მასწავლებელთა კვლევის კითხვარი);**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურები და მექანიზმები განისაზღვრება და რეგულირდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის სრულ ტერიტორიაზე და შენობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლის ეზო შემოღობილია, წესრიგდება სკოლის სრული ტერიტორია. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსსა და შპს „კერ გრუპს" შორის გაფორმებულია შეთანხმება 2024 წლის 20 ივლისს, რის საფუძველზეც ცვლილება შევიდა 2024 წლის 1 იანვარს დადებული ხელშეკრულების მე-7 მუხლში და სარემონტო სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 15 სექტემბერი.
   ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ძირითადი კორპუსის სრულ შიდა პერიმეტრზე, სართულების მიხედვით დამონტაჟებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა დეტექტორებით, ცეცხლმაქრებითა და სახანძრო ინვენტარით. სკოლის ნახევარსარდაფში განთავსებულია წყლის ავზები, რომლებიც ხანძრის შემთხვევაში წყლით მოამარაგებს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემას. სკოლამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ 2024 წლის 2 აგვისტოს N4/33 წერილით მიმართა შსს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით.

სკოლამ 2023 წლის 3 მაისს შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად წარუდგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. 2024 წლის 31 ივლისს სკოლამ შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან მიიღო წერილი MIA62402320026, რითაც დასტურდება, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შესათანხმებლად წარდგენილი შპს "საერთაშორისო აკადემია ლოგოსი"-ის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს.
სკოლას აქვს 11 ცეცხლმაქრი და საევაკუაციო გეგმები, რაც სართულებზე გადანაწილდება სარემონტო სამუშაოების დასრულებისას.
სკოლამ ასევე წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N005113124 – 26/07/2024 სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის შესახებ. დასკვნაში აღნიშნულია, რომ თბილისში, ლეო კვაჭაძის N6-ში მდებარე (ს/კ 72.16.17.947) შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. შენობის მზიდ ელემენტებში არანაირი სახის დაზიანებები არც ბზარების, არც დეფორმაციის სახით არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლუატაცია.

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ახალ შენობაში გათვალისწინებულია ოთახი, სადაც იფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. კაბინეტის სრული აღჭურვილობა და ინვენტარი შეძენილი და დასაწყობებულია სკოლაში და განთავსდება სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას ჰყავს 2 კვალიფიციური ექიმი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად, ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რითაც გაწერილია გაუთვალისწინებელი, უბედური შემთხვევების დადგომის დროს გასატარებელი ღონისძიებები, სამედიცინო პერსონალის კომპეტენცია, პაციენტის უფლებები, აღჭურვილობის უსაფრთხოება, პირველადი დახმარების პროტოკოლი. შემუშავებულია სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა. ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება ერთერთ ექიმთან, რომელმაც აღნიშნა, რომ ექიმები აქტიურად არიან ჩართულნი ჯანსაღი კვების პოპულარიზაციის აქტივობებში და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაში. ექიმი შედის კვების ობიექტის მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაშიც. სკოლაში ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები, რომლებიც ხშირად სარგებლობენ ექიმის მომსახურებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრულია წესრიგისა და სკოლის კუთვნილი ქონების დაცვის რეგულაციები. სკოლის შენობა უზრუნველყოფილია 24 საათიანი დაცვით. სკოლის ტერიტორიის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება მუდმივ რეჟიმში ჩართული 50 ვიდეოკამერის დახმარებით, სასწავლო წლის დაწყებამდე კამერების რაოდენობა 61-მდე გაიზრდება. ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა კამერების გამართულობა, საამშენებლო სარემონტო სამუშაოების მონიტორინგს სკოლის ხელმძღვანელობა ვიდეოკამერების გამართული მუშაობით აორგანიზებს. დაცვის თანამშრომლები, რომლებიც განრიგის შესაბამისად მორიგეობენ და უზრუნველყოფენ სამუშაო დღის განმავლობაში სკოლაში წესრიგის დაცვას 19:00 საათამდე, ხოლო შემდგომ ხდება სკოლის შენობის სიგნალიზაციაზე აყვანა. სკოლის სამივე სართულზე განთავსებულია დაცვის ოთახი შესაბამისი ინვენტარით.

სკოლის დაცვის სამსახური შედგება დაცვის სამსახურის უფროსის, დაცვის წევრებისა და სართულის მორიგე კოორდინატორისგან. დაცვის სამსახურის ერთ-ერთი მოვალეობაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. მართვის პოლიტიკაში წარმოდგენილია დეტალურად დაცვის სამსახურის უფროსის, დაცვის თანამშრომელის, სართულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მორიგე კოორდინატორის სამუშაო აღწერილობები, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლაში. გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. დაწესებულება მკაცრად აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების გადაადგილებას. სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის შემოღებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი.

სკოლის სრულ შიდა პერიმეტრზე განთავსდება სანავიგაციო ნიშნულები, საკლასო ოთახების ნუმერაცია და დანიშნულება, რაც ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ნაკადების გადაადგილების ორგანიზებასა და წესრიგის დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. ამისათვის სკოლაში გათვალისწინებულია უსაფრთხოების დაცვის მრავალფეროვანი მექანიზმები. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ღირებულებები მიგვანიშნებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლის გუნდისთვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს ფორმირება. ეს განიხილება სასკოლო საზოგადოების თითოეულ წარმომადგენელთან მიმართებაში. ღირებულებებია:
   - კეთილგანწყობილი გარემო, სადაც წახალისებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინიციატივა, საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, ემპათია, ურთიერთპატივისცემა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა;
   - ინკლუზიური და ტოლერანტული გარემო, სადაც დაფასებულია ადამიანის ინდივიდუალური ნიშან-თვისებები და განსხვავებულობა, დაგმობილია პიროვნებისადმი უპატივცემულო და ღირსების შემლახველი მოპყრობა, სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა, ბულინგი;

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას.

სკოლას აქვს შინაგანაწესი, სადაც მოცემული რეგულაციები ხელს უწყობს სკოლის გარემო იყოს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო საზოგადოებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მედიაციის მარეგულირებელი წესის, რომლის მიზანია მოსწავლეებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, მოსწავლეებსა და სკოლის პერსონალს შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და პრევენცია მათი კანონიერი წარმომადგენლების, ადმინისტრაციისა და ფსიქოლოგის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩართულობით.

სკოლაში დასაქმებულია ორი ფსიქოლოგი, რომელთა ფუნქციაა:

- დახმარება გაუწიონ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას სკოლის მოსწავლეებს, მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს), პედაგოგიურ კოლექტივს;
- პირველკლასელთა სასკოლო ადაპტაციის ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევეაში მათი ფსიქო-ემოციურ მზაობაზე დაკვრივება;
- ბავშვებსა და პედაგოგიურ კოლექტივს შორის ჯანსაღი ურთიერთობების დამყარება;
- კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება და საჭირო სამუშაოების ჩატარება;
- ლექციების, საუბრების, ჩატარება პედაგოგთა, მშობელთა და მოსწავლეთა შორის ურთიერთობების კულტურის ასამაღლებლად;
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა და სხვა.

ფსიქოლოგი მონაწილეობას იღებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაშიც.

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს კლასის დამრიგებელს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მოწესრიგება უმნიშვნელოვანესია სკოლაში ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად. სკოლის „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები“ შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის, და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6 თებერვლის N01-40/ო ბრძანების შესაბამისად და არეგულირებს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმებს.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები იყოფა სამი მიმართულებით: წყლის უსაფრთხოება, სანიტარული და ჰიგიენური უსაფრთხოება, დასუფთავება და ნარჩენების მართვა. თითოეული მიმართულების მიზანია კონკრეტული სფეროს შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობისა და რეკომენდაციის მოთხოვნებთან. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს სკოლის სასადილო სივრცის (ბუფეტის) კონტროლსაც. წარმოდგენილია თითოეული მიმართულების კონტროლის რეგულაციები. წარმოდგენილია სასკოლო კვების ობიექტის (ბუფეტის) კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების აქტის ფორმა.

დამლაგებლები უზრუნველყოფენ დასუფთავებას სკოლის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსს შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. წესი არეგულირებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. სკოლაში მუშავდება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები. განსაზღვრულია იმ პირთა ვალდებულებები, რომლებსაც უწევთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. დაუშვებელია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევითი პრობლემების საჯარო განხილვა/გავრცელება. მშობლის ხელშეკრულებაში მე-12 მუხლით გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დამუშავება. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მშობელი თანხმობას აცხადებს შპს „საერთაშორისო აკადემია ლოგოსმა“ სასკოლო ან/და არა სასკოლო აქტივობების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს მისი შვილის ფოტო/ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა. ამ გზით მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშავოს ან/და გამოიყენოს საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას გენ. დირექტორის ბრძანებით დანიშნული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც სკოლასა და თანამშრომლებს უწევს კონსულტაციას პესონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე, მონაწილეობს შიდა დოკუმენტების შემუშავებაში, ახდენს სკოლაში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მიერ დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში“ დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. მოცემულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, განსაზღვრულია მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომაზე, დამუშავებულ მონაცემების წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (school.emis.ge) მოსწავლეების, მშობლების, თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები. სკოლა ვალდებულია დაიცვას მის ხელთ არსებული მონაცემები შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“, საქართველოს ორგანული კანონით "შრომის უსაფრთხოების შესახებ", უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით, სამოქალაქო კოდექსით, სკოლის შინაგანაწესით, წინამდებარე დოკუმენტით, გენერალური დირექტორისა და გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებითა და მითითებებით. ის უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვას, მართვას და მონიტორინგს, ახდენს სამუშაო სივრცეებში საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირებას, შეიმუშავებს რისკების შესამცირებლად საჭირო პრევენციული ზომებს და წარუდგენს გენერალურ დირექტორს, შეიმუშავებს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი განახლებას, ახორციელებს დანერგილი სისტემების და პროცედურების პერიოდულ აუდიტს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ პერიოდულობით უტარებს თანამშრომლებს შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტრენინგებს, გენერალურ დირექტორს, დასაქმებულებსა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირებს აძლევს შესაბამისი რეკომენდაციებს შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

სკოლას გენ. დირექტორის ბრძანებით დანიშნული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც სკოლასა და თანამშრომლებს უწევს კონსულტაციას პესონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე, მონაწილეობს შიდა დოკუმენტების შემუშავებაში, ახდენს სკოლაში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

ამის გარდა, სკოლა რეგულარულად ატარებს სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების კვლევას - რამდენად კმაყოფილია სასკოლო საზოგადოება მიმდინარე პროცესებით, რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ სკოლაში თავს, რამდენად მისაღებია მათთვის სკოლის მიერ გატარებული ღონისძიებები და სხვა.

სკოლის გენერალურ დირექტორთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში დელეგირებულია უფლებამოსილებები სკოლის მენეჯმენტზე, რომლის წევრებიც თავიანთი კვალიფიკაციის, უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში რეგულარულ მონიტორინგს უწევენ როგორც სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლაში მიმდინარე ადმინისტრაციულ, სამეურნეო თუ სხვა საკითხებს. დაცვის სამსახურის უფროსი სკოლის მენეჯმენტს ყოველი სამუშაო დღის ბოლოს აბარებს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს. სკოლის მენეჯმენტის წარმომადგენლები თავიანთ სემესტრულ და წლიურ ანგარიშებში აღწერენ განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს და წარუდგენენ მას გენერალურ დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. საბოლოოდ, მიღებული ინფორმაცია გათვალისწინებულია სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის გენერალური დირექტორის 2023 წლის 07 მარტის N1/18 ბრძანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2023 წლის 02 მარტის MES 8 23 0000253828 წერილით);
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსსა და შპს „კერ გრუპს“ შორის გაფორმებული შეთანხმება, 2024 წლის 20 ივლისი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის 2024 წლის 2 აგვისტოს N4/33 წერილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღებასთან დაკავშირებით;
- შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 31 ივლისის მომართვა MIA62402320026 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N005113124 – 26/07/2024 სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის შესახებ;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკა;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულება;
- ბრძანება შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ (N1/88 -03/10/2022 წ.);
- შინაგანაწესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ქცევის ძირითადი წესები;
- სამედიცინო დახმარების წესი;
- ექიმის ხელშეკრულება;
- ფსიქოლოგის ხელშეკრულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დაცვის სამსახურის უფროსის, თანამშრომლების ხელშეკრულებები;
- საჭიროებების კვლევა (კითხვარები- მშობელთა კმაყოფილების კვლევა);
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის შესაბამისობის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის საკუთრებას წარმოადგენს თბილისში, ლეო კვაჭაძის N1 ჩიხის, N6-ში მდებარე არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ფართით 134000 კვ.მ და ნაკვეთში არსებული N1 და N2 შენობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შენობა ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით, შენობას აქვს სამი სართული და ნახევარსარდაფი საერთო ფართით - 7545,74 მ2.

შენობის პირველ სართულზე - საერთო ფართი 1653.96 მ2, განთავსებულია 17 საკლასო ოთახი, ექიმის ოთახი, საშხაპე ოთახი (გოგონების და ბიჭების საშხაპე სივრცე ცალ-ცალკეა განთავსებული), დაცვის ოთახი, 4 საპირფარეშო (8 სველი წერტილით გოგონებისათვის და 7 სველი წერტილით ვაჟებისთვის, 2 ადაპტირებული საპირფარეშო);

შენობის მეორე სართულზე - საერთო ფართი 1722.81 მ2, განთავსებულია 15 საკლასო ოთახი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, გენ. დირექტორის ოთახი, ადმინისტრაციული და მასწავლებლების სამუშაო ოთახები, სამასწავლებლო, სათვასო, დაცვის ოთახი, 4 საპირფარეშო (8 სველი წერტილით გოგონებისათვის და 7 სველი წერტილით ვაჟებისთვის, 2 ადაპტირებული საპირფარეშო);

შენობის მესამე სართულზე - საერთო ფართი 1676.75 მ2, განთავსებულია 15 საკლასო ოთახი, ორი რესურსოთახი, დარბაზი, სტუდენტური ცენტრის კაბინეტი, პროფესიული ორიენტაციის კაბინეტი, ფინანსისტის კაბინეტი, დაცვის ოთახი, 4 საპირფარეშო (8 სველი წერტილით გოგონებისათვის და 7 სველი წერტილით ვაჟებისთვის, 2 ადაპტირებული საპირფარეშო);

შენობის ნახევარსარდაფში - საერთო ფართი 2492.22 მ2, განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორია, ფიზიკის ლაბორატორია, ხელოვნების კაბინეტი, კომპიუტერების 2 ლაბორატორია, რობოტექნიკის კაბინეტი, ორი მცირე სპორტული დარბაზი, გასახდელი ოთახი, დამხმარე ფართი, ბუფეტი, 4 საპირფარეშო (8 სველი წერტილით გოგონებისათვის და 7 სველი წერტილით ვაჟებისთვის, 2 ადაპტირებული საპირფარეშო);

შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც გადაადგილდება ყველა სართულზე და ფუნქციონირებას დაიწყებს სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ.

ვიზიტის პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ეზოს მოწყობა და შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები, კერძოდ საკლასო ოთახების უმრავლესობაში დასრულებული იყო კედლების, იატაკის და ჭერის მოწყობის სარემონტო სამუშაოები, შენობაში დამონტაჟებულია გათბობის და გაგრილების სისტემა.

სკოლაში დასაწყობებული იყო სხვადასხვა სახის ინვენტარი (რაც ადმინისტრაციის განცხადებით, განლაგდება სარემონტო სამუშაოების დარსულებისთანავე, რათა არ მოხდეს მათი დაზიანება) და სასწავლო ციფრული ტექნიკა.

სკოლის ეზოში მიმდინარეობდა ორი ღია სპორტული მოედნის მოწყობა.

სკოლამ წარმოადგინა შპს "კერ გრუპთან" გაფორმებული შეთანხმება სარემოტო სამუშაოების გეგმა გრაფიკთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც კომპანია სარემონტო სამუშაოებს სრულად დაასრულებს 2024 წლის 15 სექტემბერს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(აღსანიშნავია, რომ სკოლა 2024-2025 წლის სასწავლო პროცესს იწყებს 30 სექტემბერს, რაც შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან).
ექსპერთთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სასწავლო ინვენტარის და ტექნიკის შესყიდვის მიღება ჩაბარების აქტები, კერძოდ, შეძენილი და დასწაყობებულია:
1008 - სხვადასხვა ზომის მერხი, რომლებიც განსხვავდებიან დიზაინით სკოლის საგანმანათლებლო საფეხურების გათვალისწინებით, 85-მაგნიტური დაფა, 3 ჭკვიანი დაფა, 19 ლეფთოფი, 71 მონიტორი (რაც განთავსდება ყველა საკლასო ოთახში), 29 ტელევიზორი, 76 პროექტორი, 25 პრინტერი, შეძენილია ასევე სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის ბურთები, ბადე, რაგბის რესურსები.
სკოლას აქვს 170 კომპიუტერი (მათ შორის 85 სრულიად ახალია).
შეძენილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის საჭირო ყველა რესურსი - მანიპულატივები, მულაჟები, რეაქტივები, საჭირო ჭურჭელი და საჭირო ავეჯი.
დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა 25/03/2021 თარიღის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელშიც არ აიყო დატანილი შენობა ნაგებობების საერთო ფართი, თუმცა სკოლამ ასევე წარმოადგინა შენობა ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი და საკადასტრო გეგმა, რომელიც ემთხვეოდა შენობაში ოთახების განლაგებას. ადნიმისტრაციამ გასაუბრების დროს განაცხადა, რომ რეესტრში შეტანილი ჰქონდათ შესაბამისი განაცხადი და უახლოეს პერიოდში წარმოადგენდნენ განახლებულ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით, სკოლის საკუთრებად ფიქსირდებოდა მხოლოდ 134000 კვ.მ მიწის ნაკვეთი N1 და N2 შენობით, საჯარო რეესტრის ამონაწერში არ იყო დაზუსტებული სკოლის საკუთრებაში არსებული ძირითადი შენობის ფართი.
ამასთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერში სკოლის შენობის ფართის დასადასტურებლად, მათ ჯერ კიდევ 2024 წლის 9 ივლისს განაცხადის დაჩაქრებული წესით მიმართეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. 2024 წლის 2 აგვისტოს დამატებით წარადგინეს ბრძანება და ფართის განაწილების დოკუმენტი. რეესტრის მხრიდან წარმოება დახარვეზდა და სკოლის მხრიდან მათ მოითხოვეს დამატებით განახლებული მშენებლობის ნებართვა და მთავარი არქიტექტორის განმარტება. შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსმა, ამ დოკუმენტების მოპოვების მიზნით, მიმართა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. მოცემული საკითხი სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საქმისწარმოებაშია. სკოლამ წარმოადგინა მოცემული საქმისწარმოების ყველა მტკიცებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსმა მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, შეიმუშავა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია, რომ შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი უზრუნველყოფს საჯარო რეესტრში უკვე აშენებული შენობის (7545,74 კვ.მ) ფართის რეგისტრაციას 2024 წლის 9 ივლისიდან 2025 წლის 9 ივლისამდე. შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირები, დაფინანსების წყაროები, ჩართული მხარეები, რისკები და შესრულების საბოლოო მტკიცებულებები.

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.5.1.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.</u>

2. სკოლის გენერალური დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელთა მიზანია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის ძირითადი მიზანია სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა, ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. მასში გაწერილია ბიბლიოთეკის, კომპიუტერული და რობოტიკის ლაბორატორიების, სპორტული დარბაზების, ხელოვნების კაბინეტის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების და სხვა რესურსებით სარგებლობის წესები და უფლებები.

   მართალია, ექსპერტების ვიზიტის დროს სრულად არ იყო სასწავლო სივრცე მოწყობილი, თუმცა სკოლაში მოქმედი წესებით და დებულებებით, ასევე პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გსაუბრებით, სკოლის ვებგვერდით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისთვის, რიგ შემთხვევებში, მშობლებისთვისაც.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით მეორე სართულზე 139.26 მ2 განთავსებული იქნება ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება წიგნების საცავის და სამკითხველო დარბაზსაგან. სკოლამ წარმოადგინა გრიფირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმძღვანელოები, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი წიგნები (სულ 3500 ერთეული, მათ შორის 1400 მხატვრული, 300 სახელმძღვანელო, 100-ზე მეტი მეთოდური ლიტერატურა), პერიოდიკა და ა.შ შესყიდვის დოკუმენტაცია. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც გაწერილია ძირითადი პრინციპები და ფუნქციები, მკითხველის რეგისტრაციის წესები, ქცევის წესები, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო) ხელმისაწვდომი იქნება სსსმ მოსწავლეთათვის, შექმნილია ადაპტირებული გარემო, რათა დაცული იყოს შშმ პირთა ინტერესები. სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, შენობის სართულებზე გადასაადგილებლად სკოლას აქვს ლიფტი, რომელიც ამოქმედდება სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ. შენობაში თითოეულ სართულზე მოწყობილია ორი-ორი ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას ასევე აქვს რესურსოთახები.

   სკოლაში ასევე მოქმედებს შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლეშიც გაწერილია პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის პროცედურები.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას - სკოლა, პოზიტიური გარემოთი, სკოლის საიტზე განთავსებულია სხვადასხვა სახის აქტივობების კვირეულების და სპორტული შეჯიბრებების ამსახველი ინფორმაცია. სკოლის დერეფნებში გათვალისწინებულა თავისუფალი სივრცები, რომელიც მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთგვარ შეკრების საშუალებას მისცემს. ასევე სკოლაში იფუნქციონირებს სააქტო დარბაზი და სამკითხველო დარბაზი, რომელშიც განთავსებულია მაგიდები და სკამები, რაც საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოებას გაეცნონ მათთვის საინტერესო ინფორმაციას, ერთმანეთს გაუზიარონ შეხედულებები, მოაწყონ შემეცნებითი შეხვედრები და სხვა.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსსა და შპს „კერ გრუპს“შორის გაფორმებული შეთანხმება, 2024 წლის 20 ივლისი;**

- **ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;**
- **შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ბიბლიოთეკის დებულება;**
- **სასკოლო ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
- **პერიოდული გამოცემის გამოწერის ხელშეკრულება;**
- **დომენის/ჰოსტინგის ხელშეკრულება;**
- **ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;**
- **ელ. ჟურნალის მომსახურების ხელშეკრულება;**
- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსი მოსწავლეთა ადაპტაციის წესი**
- **ამონაწერი ეკონომურ საქმიანობათა რეესტრიდან**
- **გადახდის ქვითრები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო ციფრული რესურსები. კერძოდ, 170 კომპიუტერი (მათ შორის 85 სრულიად ახალია), 19 ლეფთოფი, 71 მონიტორი (რაც განთავსდება ყველა საკლასო ოთახში), 29 ტელევიზორი, 76 პროექტორი, 3 ჭკვიანი დაფა, 25 პრინტერი.
   სკოლის საკუთრებაში არსებული კომპიუტერების/ლეპტოპების ნაწილი განთავსებული იქნება ორ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში, მათ შორის ყველა საკლასო ოთახში განთავსებული იქნება მონიტორი/პროექტორი, კომპიუტერულ ლაბორატორიასა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში გათვალისწინებულია 3 ჭკვიანი დაფა, სკოლაში ასევე იფუნქიონირებს რობოტიკის ლაბორატორია. სკოლას ჰყავს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, რომელიც ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში და უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას.
   სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. ასევე სკოლის დირექცია, მენეჯმენტი და მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან ყველა საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით და სხვა.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლამ წარმოადგინა შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ლაბორატორიის გამოყენების წესი, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, ასევე შემუშავებულია კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი. სკოლაში არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსადენო ინტერნეტქსელი. პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა სრულად გამოიყენონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში სკოლის ინფრასტურქტურა, შესაბამისად სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლის ახალი ინფრასტრუქტურა დაპროექტებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების საჭიროებების გათვალისწინებით, სკოლაში გათვალისწინებულია 2 კომპიუტერული ლაბორატორია და რობოტიკის სამუშაო კაბინეტიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული ტექნიკის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ლაბორატორიის გამოყენების წესი;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;
- შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის მართვის პოლიტიკა;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მენეჯერის ხელშეკრულება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საქმისწარმოებას ახორციელებს მის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის, ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერი. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას - https://docsgas.schoolbook.ge/login -ს, რომელშიც იტვირთება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპოდენცია და ცნობები/ნიშნების ფურცელი. ელექტრონული დოკუმენტი იურიდიულ ძალას იძენს მისი ავტორის მიერ ელექტრონული ხელმოწერის მომენტიდან.
   დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია.
   დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით სკოლაში არსებობს: საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერთან, გადაიხედა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა და საქმისწარმოების ჟურნალები. ჟურნალები დანომრილია და აკინძულია სათანადო წესით.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში აქტიურად გამოიყენება ციფრული ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლაში მოქმედებს შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესი, რომელშიც გაწერილია ელექტრონული ჟურნალის წარმოების პრინციპები, ინფორმაციის ასახვის წესი, არსებული ხარვეზების გამოსწორება და დასკვნითი დოკუმენტები. სკოლა საქმისწარმოებისას იყენებს https://docsgas.schoolbook.ge/login ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში ასევე, გამოიყენება ელექტრონული ფოსტა info@logosi.org . სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს სკოლის მიერ შექმნილი სამსახურეობრივი ელექტრონული ფოსტა. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების კიდევ ერთი საშუალებაა სკოლის ელექტრონული ჟურნალი https://logos.schoolbook.ge/, ხოლო საჭიროებების კვლევისათვის გამოიყენება Google Forms პლატფორმა. სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს სწრაფი ინფირმაციის გავრცელებისა და მიღებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge სრულად აქვს ასახული მონაცემები: ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს ადმინისტრაციულ საკითხთა მენეჯერი. სკოლის ბარათზე სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სსიპ ხარისხის გავითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან.

   სკოლა ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე https://saras.gov.ge/. ასევე, პერიოდულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარადგენს შემოსავლების სამსახურში შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებს. სკოლა ასევე აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კერძო და საჯარო ზოგადასგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ა.შ.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შპს საერთაშორისო აკადემია ლოგოსის საქმისწარმოების წესი;**
- **საქმისწარმოების სარეგისტრაციო ჟურნალები;**
- **შპს სქულ მენეჯმენტ სისტემთან" ხელშეკრულება N180624, 18.06.2024წ.**
- **ელექტრონული ჟურნალის შესყიდვის ხელშეკრულება N SB5-1124-1 18/06/2024;**
- **სოციალური გვერდიები:** https://www.facebook.com/Logos.Edu.Ge **და** https://www.instagram.com/logos_international_academy/**;**
- **სკოლის ვებ-გვერდი:** https://logos.edu.ge/

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ. გვერდი https://logos.edu.ge/ და ასევე სოციალური ქსელებში https://www.facebook.com/Logos.Edu.Ge **და** https://www.instagram.com/logos_international_academy/ შექმნილი პროფილი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სოციალური ქსელის არხები არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
   ვებ-გვერდი განახლებადი და ინფორმატიულია, მასზე წარმოდგენილი ინფორმაცია - საკანონმდებლო აქტები, განხორციელებული აქტივობები, მიღების წესები, სკოლის შესახებ სიახლეები და სხვა საჭირო ინფორმაცია.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა ახორციელებს თავისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებს დადასტურდება სკოლის ვებ. გვერდის დათვალიერებისას. დეტალურად არის აღწერილი ინფორმაცია პროგრამების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების, დამატებითი და სავალდებუილო მომსახურეობის სახეების შესახებ. სკოლის საკომუნიკაციო საშუალებების მართვაზე პასუხისმგებელია მარკეტინგის სამსახური, რომელიც შედგება მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელისა და გრაფიკოს-დიზაინერისგან.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში საზოგადოებრივი აზრის მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით პერიოდულად ტარდება გამოკითხვები მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს შორის, რათა მათი მოსაზრებების საფუძველზე გამოვლინდეს სკოლის საქმიანობისათვის აუცილებელი საჭიროებები. სკოლა ამისათვის აქტიურად იყენებს ელექტრონული გამოკითხვის პლატფორმებს. წარმოდგენილია კითხვარები, რომლებიც ავტომატურად გენერირდება და მარტივად ახდენს სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემების მიღებას. მიღებული უკუკავშირები (მონაცემები და ინფორმაცია), გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ვებ. გვერდზე https://logos.edu.ge/ ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ვებ-გვერდი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, მასზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, კერძოდ: მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამის სახელწოდება, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები; გასაჩივრების მექანიზმები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში; საკონტაქტო ინფორმაცია; შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები; დამატებითი მომსახურებები, რომლებსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს; სიახლეები; დამხმარე ლინკები და სხვა.
   სკოლის ვებ-გვერდი განახლებადი და ინტერაქციულია, გამოქვეყნებულია საინტერესო სტატიები, წარმოდგენილია სკოლის თანამშრომელთა, მოსწავლეთა ბლოგები. ახალი ამბების ჩანართში თავს იყრის სკოლის სიახლეები.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

   დასტურდება (მტკიცებულებები):
   კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
   - **სოციალური გვერდიები:** https://www.facebook.com/Logos.Edu.Ge **და** https://www.instagram.com/logos_international_academy/**;**
   - **სკოლის ვებ-გვერდი:** https://logos.edu.ge/

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლის ფინანსური რესურსებია მოსწავლეებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას ჰყავს ფინანსური დირექტორი, რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს სახსრების სწორად და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, ფულადი სახსრებისა და მისთვის მინდობილი მატერიალური ფასეულობების დაცვა. სკოლის მენეჯმენტის წარმომადგენლები, კათედრები გენერალურ დირექტორთან წარადგენენ წლიურ ანგარიშებს, ხოლო სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საჭირო საგნმანათლებლო რესურსების შერჩევა. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სკოლის ბიუჯეტი.
   მაგალითად, 2024 წელს სკოლამ საგანმანათლებლო რესუსრების განახლებისთვის გაითვალისწინა 70000 ლარი, ხოლო თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის 30000 ლარი.
   ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა საპროგნოზო მონაცემებს. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს ფინანსური დირექტორი. ის მონიტორინგს უწევს თანაშემწის საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვას, მართვასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. სკოლა ყოველწლიურად აკეთებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას ბუღალტური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - https://saras.gov.ge/ -ზე. კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარადგენს შემოსავლების სამსახურში შესაბამის საგადასახადო დეკლარაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფინანსური ანგარიშგება;
- სკოლის ბიუჯეტი;
- ციფრული ტექნიკის, ავეჯის, რესურსების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 02.09.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ნანა ედიშერაშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი:
მარტიამ ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: